სახალხო გაზეთი

№ 949 კვირა, 21 ივლისი 1913 წ. ტფილისი № 949

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მიღებული პარაკანები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. **ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის:** ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკითხველიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. яш. 190.

ავლაბრის საზოგადო საკრებულო

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპ. № 65, ექიმის კარაპეტიანცის ბაღი.

ოთხშაბათს, 24 ივლისს,

სარჯახო საღამო

წარმოდგენა

ქართულ ენაზე ვ. აბაშიძისა და ვ. გუნიას მონაწილეობით.

სტუმრები საზოგადო ჩვეულების წესით. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** 450

ტფილისის ქართული გიმნაზიის

დირექტორი

აცხადებს, რომ თანახმად გამგე-კომიტეტის დადგენილებისა, ამ წლის 1 ენკენისთვიდან ვაჟთა გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში სწავლის ფასად დაწესდა **მოსამზადებელს** კლასებში **ოთხი** თუმანი წლიურად, ნაცვლად სამის თუმნისა, და **საგიმნაზიო** კლასებში **ხუთი** თუმანი წლიურად, ნაცვლად ოთხის თუმნისა. მომავალის 1914 წ. 1 ენკენისთვიდან კი მე-V, მე-VI, მე-VII, მე-VIII კლასებში დაწესდება წლიურ გადასახადად **ექვსი** თუმანი. 1397.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებასაც მუშაობს.

დღეს, 21 ივლისს, 1913 წ.

განუწყვეტელი გასტროლები ახალი მსახიობებისა.

2 დიდი წარმოდგენა:

დღისით ფასდაწეული, საგანგებოდ ბავშვებისათვისა და მოწაფეთათვის სხვა და სხვა პროგრამით ჩვეულებრივი სამავშვო დილა. სეირნობა პონითა და ჯორებით უფასოა. დღისით დიდი ხარჯის მიუხედავად, დირექციამ გადასწყვიტა უჩვენოს ბავშვებს და მოწაფეებს სახელგანთქმული „ჰაერის მეფენი" **4 ეშმაკი.**

დასაწყისი ნაშუადღევის 2 სამ. საათზე.

საღამოთი არაჩვეულებრივი წარმოდგენა ახლად მოწვეულ მსახიობების მონაწილეობით, მხოლოდ გასტროლიორებისა. ბოლონდელი გასტროლი სახელგანთქმული და ევროპაში, თავის დარგში უპირველესი მსახიობებისა ჰაერის მეფეთა **4 ეშმაკისა.** პირველი გამოსვლა შეუდარებელ მასხარასი ბ. **რობერტსისა,** გავარჯიშებული მხეცებით, როგორც მაგალითად ერთად-ერთ მთელ რუსეთში უდიდესი ვირითა, მოლაპარაკე ძაღლითა, რომელმაც გააკვირვა ყველა მეცნიერები. დღესვე მონაწილეობას იღებს მთელი პირველხარისხოვანი მსახიობები. **ანონსი:** ხვალ, ორშაბათს 22 ივლისს ორი წარმოდგენა. დღისით ფასდაწეული საგანგებოდ ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკეებისა.** 449. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე.

ჭიათურის

შავი ქვის მრეწველთა

საგჭო

იწვევს სატეხნიკო ან სახელოსნო სასწავლებელ დამთავრებულ პირს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის საზეინკლო-სამჰედლო და სამთო-სატეხნიკო

განყოფილებების ინსტრუქტორად.

წელიწადში ჯამაგირად ექნება

900 მან.

ყოველ 5 წლის შემდეგ მოემატება ჯამაგირის 20 პროცენტი. მონაწილე იქნება შავი ქვის მრეწველთა საგჭოს მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასაში.

თხოვნები შესაფერისი საბუთებით უნდა გამოგზავნოს ქუთაისში საგჭოს სახელზე.

1392

ახალი კლუბი

(საზაფხულო სადგომი)

კვირას, 21 ივლისს. 1913 წელს.

საყმაწვილო საღამო

სხვა და სხვა საყმაწვილო სათამაშოები, **ცეკვა.**

თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება **ქართულ ენაზე**

„ბოლოს სინანული გვიანია"

ნ. დგებუაძისა.

დასაწყისი 5 საათზე. დასასრული საღამოს 9 საათზე.

სტუმრების ყმაწვილები იხდიან კლუბში შესასვლელს—15 კ. წარმოდგენაზე დასწრება უფასოა. 1358

გროლის ღიმილი

ი. გრიშაშვილისა

1359

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში

ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

გვირგვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული ლ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოჟიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

ოქროს მედალი **ОКРОС МЕДАЛЬ**

Золотая медаль. Золотая медаль

ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ ВСЕРОССІЙСКУЮ ВЫСТАВКУ ВЪ Н. НОВГОРОДѢ въ 1896 г.

ОКАЛИЕРИ

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

ვლადიმერ ალპატოვისა

GRAHD-PRIX

ო. მ. უნანიანცის გამგეობით ბოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

გამოსულია და იყიდება

ნ. შეუპაშვილის

პიესა **„მეგობროგა"**, დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ბედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12. **ფონდოკევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის განინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. შშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანუე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. ოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ბოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაშა, სადოსტაკრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ბტენაბაცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

საათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm ann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ხ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. ბოლოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი ოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ჭირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ყლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. ავრედვე ყვავილის აცრა და ძიძების განინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი შორიგებით.

ნამლოგა „606"-ით 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ლ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა არჩილ დოლიძე **დაბრუნდა** საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალადევი, ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს **აბასთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვი აგარაკი. 1071

ექიმი ა. შ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 სან. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ტფილისს, 21 ივლისს

პროტესტების გამო. ერთი ძიძაოთულეების გაზეთები ყოველთვის, ოდესაც კი საქმე გაუჭირდებათ ხოლმე, იდეიურ კაძათსა და აძათუ იმ საკითხის გამოკვლევის დროს, მიჰმართავენ საშუალებას, ოდესაც ძათ მეორე ბუღეად გადაექცათ. პროტესტეებზე ზოგახსენებთ. ძვეირალა ფოაზებით, ოიხითა და ზეიმით ჰსურთ გაანელონ ის მთაბეჭდილება, ოდესაც ახდენს საზოგადოებაზე კაძათის მედეგი. ფ. მახარაძე, თავისდა საუბედუროდ, კვლავ მეეთო ძველს იაოას, მოიხდოცა რეაბილიტაცია, მაგრამ, როდესაც ცოდვები ოამდენიძე წლის ძეძდეგ მთელის თავისი სიტიტვლით დაუყენეს ყიხ, მთაბეჭდილეა ისეთი ძლიეი აღმოჩნდა, ოდესაც პირველ ხახეეში თვით ბისი ბახლობელი ძეგობრები ელდანაკრავებსავით დადიოდნენ. მაგრამ გავიდა ხახი, ცოტა გოხს ძოვიდნეს და აა მთაბეჭდილების გაქაოწყლება მოისურვეს. მაგრამ როგორ? ოახაიოის საშუალეითო? ვინც თავს ბეურაცხყოფილადა და ძაოთალადა ჰგრძხობდა, უხდა დაემტკიცებინა, ოდესაც ყველაფერი ის, რაც ფ. ძახაოაძემ ილია ქავქავაძის მესახებ დასწერა, ბართალია. უხდა დაემტკიცებინა, მაგალითად, ოდესაც ილია ქავქავაძე ჯამუში იყო, ავაზაკი; უხდა დაემტკიცებინა, ოდესაც ილია ქავქავაძე სტახჯავდა გლეხებს, ოათა ათი ტახჯვის ყურებით ძეექმნა სიუეტეი თავის ოოთხოობეეისათვის. ძველი ოოძის ტირანი ხეროხი ცეცლს უკიდებს ოოძს, ჰქძხის სახალხო უბედურეობას, ოოძ დასტკბეს მ'ძვენიეოის სურათით და ძესთხ'ხას თავისი უნიკო ლექსები. ასეთ ტირახადა ჰყავდა დასახული ფ. ძახაოაძეს ილია ქავქავაძე. გადაიკითხეთ იძისი ნაწერები და დარწმუნდები, ოოძ ფ. ძახაოაძე კი აო ეკამათებოდა ილია ქავქავაძეს ახაბედ ხიშახ'ში ჰყავდა ადოღებული და თავისი ღვარძლიანი, ბოროტი კალმით ოარავითარ ინსინუაციას აო ერიდებოდა, ოღონთ კი უდიდესი ძოაოაგე ჩვეხი ერისა ტალახ'ში ადოესვარა. ეს იდეიური კაძათი კი აოა, გაიოროტებული, ავადმყოფი ადაძიახის თავ-ა'ძვებული ვაკანალია იყო. რა აქვს საერთო იდეიურ კაძათთან ყველაფეო იძას, ოაც ფ. ძახაოაძემ ილია ქავქავაძის მესახებ დასწერა? და აი, ოოდესაც ეს ცოდვები კვლავ გაახსენეს ფ. ძახაოაძეს, ძისმა ადძანაგებმა გაჩუძების ნაცვლად პროტესტების გამოცხოოა დაიწყეს, თითქოს პროტესტეეით მესაძლებელი იყოს გაქარწყლება იძ საშიხელი დანაშაულისა, ოოძელიც ფ. ძახაოაძეს მიუძღვის ილია ქავქავაძისა და მასთან ერთად მთელ ძეგნებულ საქართველოს წინა'ძე.

ჩვენძა თანამშრომელმა ბ. შინაურმა სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება. რითი უპასუხა „თანამედროვე ქვეყანა"-მ? რასაკვირველია იმითვე, რითაც საზოგადოდ

უპასუხებს ხოლმე გზა-კვალ აბნეული ადამიანი. „მუშები გამოდიან პრესის ღირსების დასაცავად და ცილისწამების წინააღმდეგ საბრძოლველად და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი არაფერს წააგებენ იმით, თუ რომელიმე თავხედი მათ უდიერად მოიხსენიებს: აქედან მათ მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოიყვანონ, თუ რა პატივისცემა აქვთ დემოკრატიისადმი „სახალხოელთა“ მებაირახტრეთ და კიდევ უფრო მეტი ზიზღით აღიჭურვონ ამ ხალხისადმი, რომელსაც ენაზე მუდამ [illegible] სამსახური და მისი კეთილდღ[illegible] აკერია, ხოლო საქმით დაუ[illegible]ელი მტერია ჩვენი დროის უდ[illegible]ი მოძრაობის, ჩვენი ხალხის ნამდვილი აღორძინების“. აი, რასა სწერს „თანამედროვე ქვეყანა“. ძალლის თავიც სწორედ აქა მარხია. ამ გაზეთს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ხალხში აღძრას „ზიზღი“ ჩვენდამი. რანაირი საშუალებით მიაღწევენ ამ მიზანს, ეს სულ-ერთია. ზევით ამონაწერ სიტყვებში დემაგოგიური ქამანდი მეტად აშკარადა სჩანს. „თანამედროვე ქვეყანა“-სა ჰსურს ისე მოაჩვენოს თავის მკითხველებს, თითქოს ჩვენ მუშებისთვის შეურაცყოფა მიგვეყენებინოს. მაგრამ დაფარული აზრი ამ დემაგოგიური ფანდისა ყველასთვის, ვინც ობიექტიურად უცქერის კამათს, ცხადი უნდა იყოს. ჩვენ გვეცოდებიან ის არსებანი, როაელნიც პროტესტებს ხელს აწერენ. გვეცოდებიან, რადგანაც ისინი ბრმა იარაღად გამოიყენეს ფანატიკოს დემაგოგებმა. რა აქვს საერთო ხალხს, რა აქვს საერთო მუშებს ფ. მახარაძისთანა გაბოროტებულ ადამიანებთან? ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ მუშები, რომელთა უმეტესი ნაწილი თავდაპირველად ილია ჭავჭავაძის ნაწერებზე არიან აღზრდილნი, ისეთის უტიფრობით არ მოექცევიან დიდებული მოამაგის სახელს, რანაირითაც ფ. მახარაძე მოექცა. ქეშმარიტებისა და სამართლიანობის გაგება, დაფასება გულწრფელი მოამაგეებისა ხალხმა უკეთესად იცის, და არასოდეს არ გამოიმეტებს დასამცირებლად და ფეხქვეშ გასათელად ისე, როგორც ამას ჩაიდენს ფანატიკოსი დოგმატიკოსი, რანაირიც „თანამედროვე ქვეყანა“-ში მოკალათებული ვაჟბატონები ბრძანდებიან. პროტესტანტები თავისი პროტესტებით ზურგს უმაგრებენ ფ. მახარაძეს და იმასთან ერთად ამბობენ, რომ ილია ჭავჭავაძე ავაზაკი და ჯაშუში იყო. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ შეგნებული ადამიანი, სულ ერთია მუშა იქნება იგი, თუ ინტელიგენტი, ამისთანა საძაგელ ბრალდებას არ იკისრებს. „თანამედროვე ქვეყანა“-ს ძალიანა ჰსურს

საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში *).

(გაგრძელება).

მე-60 წლების მწერლობაში გადაჭრით აღძრული იყო საკითხი საზოგადოებრივობისა და ინდივიდუალიზმის ურთიერთობის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს მწერლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქციეს საზოგადოებრივ იდეალებს. ყოველივე ღირებულება უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ, უკედ რომა ვსთქვათ, მოქალაქობრივი თვალსაზრისით იზომებოდა. საერთო „სარგებლობა“, საზოგადო სარგებლობა, საერო სარგებლობა იყო ის საზომი, რომლითაც მე-60 წლების მოღვაწე ყოველს ღირებულებას აფასებდა. [illegible]ედან წარმოდინდება მე-60 წლ[illegible] სიტყვა-კაზმულ მწერლობის პ[illegible]ცისტური ხასიათი. ამ ტენდენცი[illegible]ევრი რამ დაკლო ილიას და [illegible]ს პოეტიურ შემოქმედებას, და უმეტესად ილიას. ილია უფრო გაეტაცინა პუბლიცისტიკას პოეზიაში და თუ ილია პოეზიაშიც პუბლიცისტობდა, აკაკი პუბლიცისტიკაშიაც პოეტობდა, ამიტომაცაა აკაკის პოეზია უფრო ფაქიზი, უფრო ჰაეროვანი, თუ აგრე ითქმის. ამიტომაც **ილია დაუშრეტელი წყაროა საპუბლიცისტიკო თემისათვის და აკაკი საესთეტო კრიტიკისათვის.** ეს პოეზიაში პუბლიცისტობა შემდეგ პოეტებსაცა სჭირთ, თვით ჩვენს დრომდე, რაც, ჩვენი აზრით, იქიდან წარმოსდგება, რომ ისინი თავისებურ ბედში მყოფ ერის შვილნი არიან. ძლიერი სახელმწიფოს, მრავალ[illegible]რიცხოვან და ძლევა-მოსილ ერის შვილს შეეძლო „დღისა სიცხადისათვის“ ზიზღით თვალი მოერიდებინა, ჰაეროვან პოეზიის ღმერთის ფრთათა ქვეშ მიბნედილიყო და გახეცხადებინა:

„Мы рождены для вдохновенья
Для звуковъ сладкихъ и молитвъ...“

მაგრამ საქართველოს შვილს არ შეეძლო არ ეთქვა სრულიად წინააღმდეგი მგოსნის დანიშნულების შესახებ:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

პოეტს რეალისტს არ შეეძლო ელიარებინა სიმღერა — სიმღერისათვის, პოეზია,—პოეზიისათვის, ხელოვნება ხელოვნებისათვის, ყოველივე ეგ საშუალებაა ერთ დიდ მიზნისათვის და ეგ მიზანია, „ქვეყნის სამსახური“, ქვეყნის სარგებლობა.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო.

და აი დასაბამი და გასაღები იმისა, თუ რა უნდოდა ეთქვა ილიას თავის „განდეგილში“. ჩვენის აზრით, **„განდეგილი“ მოქალაქობრივი თვალსაზრისით განხილული საკითხია უმთავრესად,** თუმცა, რა თქმა უნდა, განდეგილობის ფსიხოლოგიური და ფილოსოფიური მხარეც არ არის უყურადღებოდ დაგდებული. ილიას მარტოოდენ სიტყვის მასალად კი არ უთქვამს: „არ მიყვარს მყინვარი, თავის განდეგილობისთვის, რომელსაც ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარი მხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი ძაღალ შუბლზე ერთს ძარღვსაც არ აუტოკებს“-ო, ან და კიდევ: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ანჯითა, წვალებითა, ბრძოლით ა და ვაი-ვაგლახითა“-ო. აი, სწორედ აქ არის დასაბამი იმ დედა-აზრისა, რომელიც განაგებდა მე-60 წლების მოღვაწეთა რწმენას და, რომელიც საფუძვლად უდევს აკაკის, „თორნიკე ერისთავს“, ილიას „გახდეგილს“ და ა. ყაზბეგის „მოძღვარს“. როგორც ხელოვანი კოძპოზიტორი ავითარებს და აოთულებს ხოლმე ერთ მოკლე მუსიკალურ წინადადებას, ერთს ძარტივს თემას, აგრეთვე, „საზოგადოების სამსახური“ იყო ის მთავარი მოტივი, რომელიც საფუძვლად დაედო დასახელებულ ნაწარმოებთ. მე-60 წლების მოღვაწეთ განდეგილობა აინტერესებდათ არა როგორც მეტაფიზიური პრობლემა, არამედ როგორც საზოგადოებრივი საპირბოროტო საკითხი. პუბლიცისტიკაში რომ გადავიხედოთ, იქ აკაკი დაგვხვდება და გვებაასება იმის შესახებ, რომ პოეზია საუკეთესო იარაღია საზოგადოებრივ აზრთა გასავრცელებლად და განსამტკიცებლადო, და თუ ამ აზრისა იყო **უალრესად პოეტი აკაკი,** სხვისი რა სათქმელია... მაგრამ ნუ გადავსცდებით აღნიშნულ ფარგალს და საბუთები ისევ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან ავიღოთ.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ „გლახის ნაამბობში“ დახატული მოძღვარი ანტიპოდია „განდეგილისა“. თუ ილიამ ამ უკანასკნელის მაგალითით უარჰყო განდეგილობა, მოძღვარის პიროვნება მისაბაძველ მაგალითად დაგვისახა. თუ განდეგილი განდგომია ცხოვრებას და „სულისთვის ხორცი“ უწამებია, თუ მას დაუვიწყნია ტოლმეგობრები და მთელი კაცობრიობა, და „თავისთვის“ სასარგებლო, სამარადისო საქმეს შესდგომია; თუ მას უკუ უგდია ხანმოკლე წუთი სოფელი, რომ ამით დაუსრულებელი ნეტარება მოეხვეჭა თვისი „უკვდავი“ სულისათვის, მოძღვარი (გლ. ნაამბ.) თვით ხალხში სცხოვრობს და მიზნად დაუსახავს ქვეყნის სამსახური: „ჩვენი თავი, ჩემო ძმაო, არც დედისა და არც მამისა, იგი ქვეყნისა არის: ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა“. ყაზბეგის ონოფრე?! ერთი მხრით კიდეც ამართლებს თითქოს განდეგილობას. მართლადაც, თუ სადღაც მთაში, უდაბურს ადგილას განმარტოებით მცხოვრებ ადამიანს ამდენი სიკეთის დათესვა შეუძლია, ესოდენ მადლით შეიმოსება და მოყვარისადმი სიყვარულს და მისთვის თავის დადებას ცხოვრების მიზნად დაისახავს, თუ ამ ქვეყნად იმისთვისა სცხოვრობს, რომ ღვთის სახელით და მის სადიდებლად კეთილ საქმეზე იყოს გადადებული, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმის ქება დიდების მეტი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ონოფრე სრულიადაც არ არის ტიპი განდეგილისა, რომელსაც ყოველივე **ამ ქვეყნური** უკუ უგდია და ლოცვითა და ღაღადისით მისტიურად უერთდებოდა უზენაესს. **ონოფრე უფრო საიდეალო** საზოგადო **მოღვაწეა, ვიდრე სარწმუნოებრივ ნიადაგზე გაფანატიკოსებული დაუუდებული.** მისი სიცოცხლის მიზანი „სიყვარულია“ და კეთილი საქმე, და თუ ამას შედეგად იმ სიფლად საუკუნო ნეტარება მოჰყვება დეე, იყოს ნება უფლისა.

სარწმუნოებრივი შეხედულებით საიდეალო განდეგილობა ის არის, როგორც იყო სვიმეონ მესვეტე. ონოფრე კი თუმცა განშორებია სოფელს და სადღაც გამოქვაბულში განდეგილად სცხოვრობს, მაგრამ **„ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, სცხოვრობდა მისთვის,** და მაშინაც კი როდესაც ყველასაგან გამარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ. **გულმხურვალე, მოციქულად შექმნილი, სცდილობდა ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის“.** (ხაზგასმული ჩვენია)...

„არასოდეს მამა ონოფრეს არ ენახა **განსაცდელში** მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზე ზრუნვა არ გადავიწყებოდა. პირველადვე სხვის შვილის გულის თქმა არ გაჰღვიძებოდა“. თუ ილიას განდეგილი სრული ანტიპოდია „გლახის ნაამბობში“ დასურათებულ „მოძღვარისა“, ეს უკანასკნელი სულიერი ძმაა ონოფრესი. იგივ აზრები, იგივე სიტყვა, იგივე საქმე.

აკაკიმაც აღძრა საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა „თორნიკე ერისთავში“ და ისიც, **რასაკვირველია,** განდეგილობის, და ფუჭ სიტყვიერების წინააღმდეგია. „თვინიერ საქმის ლიტონი სიტყვა უწყი მკვდარ არსო“, იმეორებს მგოსანი საღვთო-წერილის სიტყვებს თვით განდეგილობის წინააღმდეგ, თუმცა ამავე საღვთოწერილის სიტყვებით ამართლებენ ხოლმე განდეგილობას.

აკაკიმ თვისი მოქალაქობრივი მრწამსი ქათალიკოზს ათქმევინა:

„ნუ თუ შენ მართლა რამე გგონია ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება? განა ღვაწლია ხორციელისგან **ამა სოფლისა კრძალვა-რიდება? და ეს ქვეყანა შენებით სავსე, შემოქმედების გამომხატველი,** ნუ თუ მიტომ გვაქვს მონიჭებული, რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი? ვინცა იწუნებს თავმოყვარეობით ამ მიუწვდომელ დიდსა ქმნილებას და უარსა ჰყოფს კანონიერსა ბუნების ყოვლგვარ მოთხოვნილებას, ის **უარსაჰყოფს** თვით შემოქმედსა“.

(ხაზგასმული ყველგან ჩვენია).

ჩვენ აქ არ შევალთ იმის განხილვაში, რამდენად სწორი ტიპია ქათოლიკოზი, ან იმისა, შეეძლო თუ არა თითონ ბერს, ასეთი არგუმენტებით ესარგებლნა რელიგიურ კამათის დროს. ვიტყვით მხოლოდ, რომ თორნიკეს შეეძლო ეს არგუმენტები მიებრუნებია და ქათალიკოზის სიტყვისა და საქმის შორის წინააღმდეგობა აღენიშნა, რადგანაც ქათალიკოზიც ხომ უარჰყოფდა, როგორც ბევრი, **ბუნების ბევრგვარს** მოთხოვნილებას. აქ ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს დავამტკიცოთ, რომ **ჩვენს მწერლობაში მთელი მოდგმა იყო ერთგვარი შეხედულებისა განდეგილობაზე.** ილია, აკაკი და ყაზბეგი უარჰყოფენ განდეგილობას ყოველ ნიადაგზე. იმათ ნაწარმოებებში ვხედავთ, რომ თვით შემოქმედის სიყვარულიდან გამომდინარეობს მისი სახელით წუთისოფლის უარყოფის და განდეგილობის გაკიცხვა მაშინ, როდესაც მეორე მხრით, უზენაესთან შეერთებისათვის ამართლებდნენ განდეგილობას.

წმინდა ავგუსტინე თავისებურად იმეორებდა დიდებულ იდეალისტს პლატონის აზრს, რომ ადამიანის ღვთაებრივი სული მხოლოდ ტყვეა არის ყოველივე მატერიალურისა, ხორციელისაო. საუკუნით საუკუნემდე ერთი და იგივე დებულება სხვა და სხვა გენიალურ პიროვნებათა შემეცნებაში სხვა და სხვა, სრულიად მოწინააღმდეგე, დასკვნას იძლეოდა, მაშინ, როდესაც ერთნი მთელი სამყაროს უკუგდებით ლამობდნენ უზენაესის შეგნებას, მეორენი სწორედ ამ ხილული ქვეყნის მიღებით ჭიქრობდნენ უხილავის განკვრეტას. საშუალო საუკუნოებში მრავალ ასტრონომიულ საიდუმლოების გამოკვლევამ თითქმის რელიგიოზურ ექსტაზამდე მიიყვანა არა ერთი და ორი მოაზროვნე: ჰხედავდნენ რა მსოფლიოს ჰარმონიას და თითქოს მტკიცე მიზანშეწყობილებას, აქედან ისინი უზენაესის, გამგე ძალის, არსებობას ასკვნიდნენ. აკი ჩვენი მგოსანი, გრიგოლ ორბელიანიც განცვიფრებულია:

„ღმერთო, ვინ მიწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერ-უთვალავს შვენებას, სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას“-ო.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 948.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთში სარწმუნოებრივმა დევნამ დიდი ხანია შეჰქმნა სხვა და სხვა ჯგუფი, რომელნიც სრულიად განუდგნენ მართლ-მადიდებელ ეკლესიას. რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამჟამად სინოდი შეფიქრიანებულია ახალი მოძრაობით, რომელსაც „ინოკენტიევშჩინა“ ეწოდება. ეს მოძრაობა მოედვა სამ გუბერნიას: ბესარაბიისა, პოდოლისა და ხერსონისას. ამ მოძრაობის დამფუძნებელია ბალტიის მონასტრის ბერი ინოკენტი, რომლის მოღვაწეობასაც მონასტრის ადმინისტრაცია მხარს უჭერს რადგან მას აუარებელი ფული შემოსდის ინოკენტის მიმდევართაგან. ხერსონის გუბერნიის ერთ სოფელში ინოკენტის მიმდევრებმა ქვეყნიური სამოთხე გააკეთეს თურმე. მათი აზრით, წარღვნის შემდეგ ყველა ცხონებულს იქ მიიყვანენ. ინოკენტიმ თავისი თავი მოციქულად გამოაცხადა და, ვითომ, სასწაულების მოხდენაც დაიწყო. მაგრამ ეს სასწაული სულ სხვა გვარის გამოდგა. ბევრი ჯანსაღი ამ სასწაულის მეოხებით ჰკარგავს ჭკუასა და გიჟდება. ინოკენტის შესახებ საოცარი ხმები გავრცელდა: ისიც კი დაიჯერეს, ვითომც, ინოკენტს ფრენა შეუძლია; ინოკენტი ავზნიანებს არჩენსო. ბალტიის მონასტერში ავზნიან ქალების განკურნება ასე ხდებოდა თურმე: შიშველი ქალები გამოსახავდენ მიწიურ ჯოჯოხეთს და დახტოდნენ ინოკენტის გარშემო, რომელიც ხოლოდ შიშველი იყო და რაღაცას ბუტბუტებდა. შემდეგ ვანაში, რომელშიაც წინასწარ თვით ინოკენტი ჩადიოდა, თითო-თითოდ ჰბანაობდნენ ქალები და „განკურნებას“ ელოდნენ. ინოკენტის ერთი მიმდევარი ქალის ჩვენებით, რომელსაც გამოძიების დროს გამოჰკითხეს, როდესაც იგი „გასაკურნებლად“ ინოკენტის სენაკში შევიდა, უკანასკნელმა უბრძანა: „გაიხადეო“; როდესაც ქალმა განაცხადა, მრცხვენიაო, ინოკენტიმ დაუყვირა: „განკითხვის დღეს ხომ არ შეგრცხვება, როდესაც შიშველი მთელი ქვეყნიერების წინაშე უხდა იდგე“-ო. ქალმა გაიძრო და იატაკზე დაფენილ ზეწარზე დაწვა, ინოკენტი კი მას ნელსაცხებელს უსვამდა. შემდეგ რა მოხდა, ქალს არ ახსოვს, რადგან გრძნობა დაკარგეო, ამბობს.

* * *

გაზეთი „დენი“ ბჭობს ამ ამბების შესახებ და ამბობს:

„სარწმუნოებრივ მოძრაობის ისტორიამ ბევრი მაგალითი დაგვიტოვა იმისა, როდესაც ბრბოს უეცრად მოედებოდა სიგიჟე. მაგრამ ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ ამ რელიგიოზურ პარაქსიზმებს ვუკავშირებთ კულტურისა და ოქალაქობრივ დამოკიდებულების სულ სხვანაირ წყობილებას.

პოდოლისა და ბესარაბიის სოფლებში, სადაც ინოკენტიევშჩინამ მოიკიდა ფეხი, ხმაურობს პურის სალეწი და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სოფლის მეურნეობა საუცხოვო ჭირნახულს იღებს. და როდესაც ამ კაპიტალისტურ კულტურის უმაღლეს პროდუქტებთან ერთად უეცრად ცეცხლის სვეტივით ამოვარდება რელიგიოზურ ფსიხოზის ველური ფორმები, რომელნიც ჩვენ გვტყორცნის შორეულ საუკუნოების შავბნელეთში, უნებლიედ ჰფიქრობ, რომ ხალხურ ბრბოების ცხოვრებაში დახურულია ხუფები, რაც ძლიერ უშლის სასულიერო სფეროში ცხოვრების ახალი სტილის ჩაწდომას“.

ამ გარემოებას გაზეთი აბრალებს ხულიგნურ გავლენას, რომლითაც დატვირთული არიან ყოველ უწყების სკვორცოვები. მხოლოდ გაზეთს ერთი რამ ავიწყდება: იქ, სადაც სამღვდელოება სახელმწიფო პოლიტიკის საძირკვლად არის გამოყენებული, სადაც მათთვის ოქრო-ვერცხლი ღვთაებად გადაიქცა, შეუძლებელია ასეთი პარაქსიზმების მოსპობა. მიუხედავად იმისა, რომ სპილიოტისებური რუსების მკვლევარნი მე XVII ს. საქართველოის სამღვდელოებას სწამებდნენ გაუნათლებლობას შეიძლება ითქვას, რომ დღესაც მე-XX საუკუნეში ისე არსად არ არის გავრცელებული „ღმერთების“ თაყვანის ცემა, როგორც, რუსეთში და მუდამ ასე იქნება, სანამ რუსეთის სამღვდელოება სხვათა საქმეებში ჩარევას თავს არ დაანებებს და თავის საქმეს არ მოჰკიდებს ხელს.

* * *

სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს სწავლა-განათლების მინისტრმა წინადადება მისცა: ღონისძიება მიიღონ, რათა ამის შემდეგ ერთდროული დახმარება და სტიპენდიები მხოლოდ ისეთ სტუდენტებს მიეცეს, რომელთა შესახებ გუბერნატორებისაგან და პოლიციის დეპარტამენტისაგან კარგი ცნობები იქნება მიღებული. ამის გამო „რუსსკოე სლოვო“ ამბობს:

„ახალი წესი უკვე იყო ნაცადი „რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტში“ და რა მოხდა? პროფ. გიდულიანოვის ოფიციალურმა რევიზიამ დაამტკიცა, რომ ადესის უნივერსიტეტში, სტიპენდიისა და დასახმარებელ თანხის მიცემის დროს სუფევდა უკანონობა და თვითნებობა. დახმარება ეძლეოდათ მხოლოდ „კეთილსაიმედოთ“ და, თავისთავად ცხადია, გადადიოდა იმათ ხელში, ვისაც არ უჭირდა, მაგრამ ძლიერი პროტექცია კი ჰქონდა. ამიერიდან ადესის ხნეჩვეულება მთელ რუსეთს უნდა მოედოს. მოიგებენ, რასაკვირველია, აკადემისტები. იმ საწყლებს ხომ არ ჰყოფნით მათ ორგანიზაციებში უხვად მიმდინარე ფული; არ ჰყოფნით მხიარული ნადიმისათვის და ისეთ ოინებისათვის, როგორიც მაისის დამდეგს მოახდინეს პეტერბურგის აკადემისტებმა და რომელმაც აკადემისტთა კლუბის დაკეტვა გამოიწვია“.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ შიოევისეულ სახლის დანგრევის გამო. ამ დღეებში შეუდგებიან გოლოვინის პროსპექტზე შიოევისეულ სახლის წინა კედლის დანგრევას. ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო საელექტრონო სადგურის მეპატრონე შუკერტი. სადგურის მანქანა საარტისტო საზოგადოების შენობაში სდგას და იქიდან შიოევისეულ სახლის სახურავზე მავთულებია გადმოყვანილი და ელექტრონის ენერგიას იღებს მდივნის სახლი, ხაჩატუროვის სტამბა და სხვა დიდი დაწესებულებანი და სახლები. კედლის დარღვევის გამო შუკერტმა მავთულები უნდა აიღოს და სადმე მოახერხებულ ადგილას გადაიტანოს, რათა უენერგიოდ არ დარჩნენ დაწესებულებანი და სახლები. მავთულებისთვის შესაფერია მდივნის სახლი, მაგრამ ბ-ნმა მდივანმა გადაჭრით უარი უთხრა შუკერტს, რომელმაც არ იცის, რა გზას დაადგეს. თუ რაიმე შეთანხმება არ მოხდება ბ-ნ მდივანთან, ორი დღის შემდეგ შიოევისეულ სახლის გვერდზე მდებარე სახლები და დაწესებულებანი უენერგიოდ დარჩებიან.

✦ ფრენა. მფრინავი პ. ს. ქებურია დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე, გაფრინდება, საჯირითო მოედნის გვერდით.

✦ დამპალ ციებასთან ბრძოლა. ამას წინად ციებასთან მებრძოლმა კომიტეტმა სურვილი გამოსთქვა, ნემენცების სარწყავი არხი სრულიად ამოივსოს, რადგანაც დიდად ხელს უწყობს ტფილისში დამპალ ციების გავრცელებას. ამის გამო ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სახლის პატრონებს, რომელთა რაიონშიაც არხი მიდის, ორის თვის განმავლობაში აუცილებლად გადაეხურონ. წინააღმდეგ შემთხვევაში არხს ქალაქის გამგეობა თვით გადაეხურავს სახლის პატრონთა ხარჯით.

ამას წინად მოვარდნილ ნიაღვრებისაგან უზარმაზარი ჭაობი გაჩნდა დიდუბეში, სარკინისგზა ბატალიონის კაზარმების მახლობლად, მტკვრის პირად. სამხედრო უწყებამ წყალი კაზარმების ახლოს სულ ამოაშრო, ხოლო საქალაქო მიწაზე ჭაობები ისევ დარჩა. დამპალ ციებასთან მებრძოლმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობას განუმარტა, რომ აუცილებლად საჭიროა ამ ჭაობების ამოვსება, რადგანაც დამპალ ციებას ხელს [illegible] [illegible]ყობსო. ქალაქის გამგეობა ჭაობების ამოვსებას ამ დღეებში შეუდგება.

✦ ელიმბა. გუშინ და გუშინწინ ღამით მახათის მთას, სადაც წმ. ილიას ეკლესიაა, დიდძალი ხალხი მიაწყდა. გუშინ დღესასწაულის გამო ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის კრებულმა სადღესასწაულო წირვა გადაიხადა. ხალხი გუშინ საღამომდე არ დაშლილა.

✦ ექსკურსია. დღეს, დილის მატარებლით ნ. პ. სულხანიშვილის მომღერალთა გუნდი მიდის მცხეთისა და არმაზის მონასტრების დასათვალიერებლად.

✦ გარდაიცვალა ხოლერინით ქალაქის ექიმი ქალი მ. ა. სააკოვისა. მისი გვამი მიწას გუშინ მიაბარეს. დასაფლავებას ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი დაესწრნენ.

✦ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი ნებას არ აძლევს ქართულ დრამატიულ საზოგადოების კურსების მსმენელებს დასდგან სადმე თავის სახელით წარმოდგენები.

✦ შიოევისეული სახლი, რომლის კედელიც ამას წინად ჩამოინგრა, დაწვრილებით დაათვალიერა საგუბერნიო სამმართველოს საღმაშენებლო განყოფილების ტეხნიკოსთა კომისიამ და ქალაქის გამგეობას ნება მისცა, შენობას მესამე სართული დაადგას იმ პირობით კი, რომ კედელი გოლოვინის პროსპექტის მხრით სულ დაანგრიოს საძირკვლიანად და ახალი ამოიყვანოს.

✦ საბირჟო ცნობები. 19 ივლისს ტფილისში შეთანხმება არა მომხდარა. პროკენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან., 25 კ., აძლევდნენ—84 მან. 70 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 15 კ., აძლევდნენ—82 მან. 60 კ. ☭ ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან. 75 კ., აძლევდნენ—79 მან. 50 კ.

სახელმწიფოს მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმები შემდეგი იყო: პირველ სესხისა—483 მან. 50 კ., მეორისა—353 მან. და მესამისა—314 მან.

გუშინ აგრეთვე ბირჟაზე გამოუშვეს აქციები: ტფ. საკომერციო ბანკისა: აფასებდნენ—340 მან., აძლევდნენ—325 მან. და მილოვისა და თაროვის სავაჭრო სახლისა: აფასებდნენ—250 მან. აძლევდნენ—170 მან.

დღიური

სახალხო მასწავლებლები.

მე ისევ ჩვენი სოფლის მასწავლებლებს უნდა დავუბრუნდე. მათი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად თვალსაჩინოა, მათი გაკვლენა ეროვნულ თვითშეგნებაზე დიდია; მათ შეუძლიათ აღორძინონ, განაახლონ დაცემული სული ერისა და შეუძლიათ კიდევ უფრო შეჰბორკონ შებორკილი, უფრო მძიმე უღელი დაადგან, უფრო გააღრმავონ სილაჩრე და შიშთა შემოსონ ერის არსებობა და წყვდიადი შემოარტყან გარს დაჩაგრულს გონებას. დიდი, დიდი საპასუხისგებლო ეროვნული საქმე აქვთ დავალებული და ნაკისრები სოფლის მასწავლებლებს, ხალხის აღმზრდელებს. ეს ცხადია, მაგრამ ცხადზე უცხადესია ისიც, თუ რა საცოდავობაა უმეტეს შემთხვევაში ჩვენი სოფლის დღევანდელი მასწავლებელი, როგორ დაშორებულია იგი თავის მძიმე მოვალეობას, როგორ მოუმზადებელია გონებრივად თავის წმინდა მიზნის შესასრულებლად.

ჩვენში არ არიან—სულ მცირე, მცირე გამონაკლისის გარდა—ჭეშმარიტი სახალხო მასწავლებლები, ამ სიტყვის პირდაპირის მნიშვნელობით! არ არიან აღმზრდელები უკეთესის თაობისა, შემოქმედნი ეროვნული სიძლიერისა და მომმზადებელნი მომავალის ცხოვრებისა. არიან მხოლოდ პატარა მოხელეები, რომელთაც ერთი რამ აინტერესებთ—პირადი დაწინაურება, ერთს ესწრაფვიან—ოცს რიცხვს, ერთს კანონს ეძორჩილებიან—უფროსის ბრძანებს. მათთვის არ არსებობს სულიერი აღფრთოვანება, გატაცება მაღალის იდეალებით, კეთილშობილი იდეური სამსახური, ღრმა სიყვარული მამულისა და შეუდრეკელი, გაუტეხელი, შეუპოვარი დაცვა სახალხო ინტერესებისა. მათ გულს არ აცხოველებს შშვენიერი ოცნება ეროვნული აღდგენისა, ოცნება, რომელიც ფრთებს შეასხამს მიწიერებს. მკვდარია მათი სული და არ აღეურვილა აწმყოს ვაების განცდით; გარედ გამდგარან და ცხოვრება ხალხისა თითქოს არც შეეხება მათ შეგნებას. ახალგაზდობა—იმედი ერისა, გაცისკროვნებული სახალხო მისწრაფებით, გაბრწყინვებული ერის სიყვარულის ცეცხლით, ძლიერი ცოდნით და უფრო ხასიათით, სულით, მოვალეობის გათვალისწინებით,—ასეთი ახალგაზდობა არა დგას მუდამ ჟამს ჩვენებურ მასწავლებლების წინაშე და აღზრდა ასეთის ახალგაზდობისა არ არის სატრფიალო და სანეტარო მათთვის.

რა უყვართ ჩვენს სოფლის მასწავლებლებს?—ჯამაგირი და პატივის ცემა უფროსისა! რა ასულდგმულებთ?—სახელი ჭეშმარიტი მოხელისა! რას აკეთებენ?—გაკვეთილებს! რას ემსახურებიან?—ერის დაცემის განმტკიცებას! რას მოელიან?—ერის მომავლის რისხვას და შეჩვენებას!.. შევეჩვიეთ მასწავლებლების ურიგობას, ჭოვალეობის მივწყებას, პატიოსანი რწმენის ფეხით გათელვას, სულიერი სიმაყის გრძნობის მიჩლუნგებას, უბრალო გამბედაობას უარყოფას, საერო ცხოვრებიდან განდგომას, საღი საპედაგოგიო შემეცნების უკუგდებას, პირფერობას, მონურს ლაქუცს, ძატყუარობას, გამცემლობას, ძაგრამ ვფიქრობდით, რომ ყოველს მოთმენას საზღვარი აქვს და თუ ცხვარიც გაცხარდა, ცხარეა; ვფიქრობდით, რომ ითლად არ ჩამქრალა კეთილი გრძნობა და აზრი სოფლის მასწავლებლებში; რომ მასწაკლებლი სდუმს დაბეჩავებული, უძლური, ითმენს თავის დანიშნულების დამცირებას, — ხოლო თუ ტლანქი ხელი მოურიდებლად შეეხება იმ მცირე თავმოყვარეობას, იმ ღირსების ლანჯს, რომელიც კიდევ შერჩენიათ, მაშინ გაწყდება დუმილი და მასწავლებელი ამოიღებს ხმას და იტყვის სიტყვას გამწარებულს, ძირს დაანარცხებს სახელს ფუტსაღ ყალბს და დაიძახებს: დედამიწა ძაინც ბრუნავს, დედამიწა მაიც ბრუნავს! ქართველი სახალხო მასწავლებელი მთლად არ მომკვდარა, მას სძინავდა მხოლოდ, ითმენდა თავის პატიოსნების შელახვას; დღეს აღარა სძინავს და პასუხს გასცემს დამლახვრელებს!..

ვფიქრობდით ასე, სულ უიმედონი არ ვიყავით. მაგრამ აღარსადაა გახთიადი და გამოღვიძება. არსადაა ხმა გამოფხიზლებულის მასწავლებლისა დამაძაცირებელთა მიმართ. პირიქით, უფრო შესაზარს, გულის დამწვავ ამბებს ვხედავთ, კიდევ უფრო დაეცნენ ჩვენი სახალხო მასწავლებლები, დაექანენ უფსკრულისაკენ ტ ოდნავი შუქი განახლებისა არ ანათებს მათ ჩამავებულს სახეებს.

საკმარისია გავიხსენოთ შარშანდელი ისტორია ქუთაისის საქალაქო სასწავლებლებში ძომხდარი და ღალატი სკოლების გამგეობისა, გავიხსენოთ ფრევანდელი ქუთაისის გუბერნიის პირველ რაიონის სამასწავლებლო კურსების ამბავი, სადაც ჩვენძა მასწავლებლებმა გამოიჩინეს სრული ყურძოკრილი მოხობა ინსპექტორის წინაშე და სამარცხვინოდ ძხარი დაუკრეს ძუნჯურს მეთოდს და აღიარეს, რომ რუსული ენის გაკვეთილები დაიწყონ სექტემბრიდახვე; გაიხსენეთ ს. მჭედლიძის საქციელი და მისი ვითომდა თავის ძართლება; მოიგონეთ ამას წინად გაზეთში დაბეჭდილი წერილი ხარაგოულიდან, სადაც სოფლის მასწავლებლებმა დიდი პატივი სცეს, სადილი გაუმართეს და სიტყვებით მიმართეს იმ უფროსს, რომელმაც ბებერი ძაღლის სახელი უწოდა მთელი საქართველოს აღმზრდელს მასს, ყველასაგან პატივცემულ, საყვარელს ადამიანს, სახელოვანს მამულიშვილს!...

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას ჭღაღადებენ ეს საზიზღარი, სამარცხვინო მოვლენანი? სადამდი დაეცნენ ჩვენი მასწავლებლები, საით მიდიან? ნუ თუ უსაზღვროა მათი გონებრივი და ზნეობრივი გათახსირება და ისე გარყვნა ისინი ადგილის დაკარგვის შიშმა, რომ ყველაფერი უნდა დაამსხვრიონ, რაც პატიოსანია, მაღალი, სათაყვანებელი, გასვრილის ფეხებით უნდა გადასთელონ ერის სამსხვერპლოები და შეაფურთხონ უმზგავსოდ ერის სადიდებელს? რა ხდება ეს? ჩვენ ჩვენის წმინდათაწმინდის დაცვას მოველოდით იმათგან და ისინი კი ჩვენის სულთამხუთაობის იარაღებად გამოდიან? ეს დასაჯერებელია? ეს გასაგონია? ეს დასანახია?

ნუ თუ ათიოდე, ოციოდე კაცს მაინც არ შერჩა ჩვენს სახალხო მასწავლებლებში ადამიანობა? მთლად ურწმუნო არა ვარ. მრწამს, რომ არიან ასეთები! და ველი, რომ აიმაღლებენ ხმას და სასტიკი პასუხისგებით შეხვდებიან დამღუპველს ამბანაგებს. კმარა გაჩუმება და ძოთმენა.

სიტყვა.

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგი.

✦ „ნოვი აივაზის“ ქარხნის სამი მორიგეობის მუშათა კრება გაიმართა, ზოგიერთმა მუშამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საგორავით კაცის ქარხნიდან გატანა, ვერ არის ბრძოლისათვის კარგი იარაღიო. მუშებმა მიანდვეს თავის მამასახლისებს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება გაფიცვის გათავების შესახებ, მაგრამ ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე.

✦ ბალტიის ქარხნის მექანიკურ განყოფილების გაფიცულმა მუშებმა აირჩიეს სამი კაცი ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად. შემდეგ მუშები ქარხანასთან შეგროვდნეს, მაგრამ პოლიციამ გარეკა. მუშათა წარმომადგენლებს განუცხადეს: მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებულიო. მუშებმა გაფიცვის გაგრძელება გადასწყვიტეს.

✦ „ვაკუუმ სილის და ამხ.“ ქარხანაში მუშობა დაიწყეს. მუშები დამარცხდნენ, რადგანაც მოთხოვნილება არ დაკმაყოფილეს და მუშების ნაწილმა კი ძველ პირობებში მუშობა არ დაიწყო. ნაწილმა ანგარიში გაასწორა ქარხანასთან.

✦ გათავდა პუტილოვის ქარხნის მღებავთა გაფიცვა. მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილეს მუშებს. დაიქირეს 4 კაცი. გაფიცულთ დახმარება აღმოუჩინეს 538 მანათით.

✦ კ. ი. პალის სამანუფაქტურო ქარხანამ განაცხადა: რადგანაც მუშათა ნახევარი რიცხვი სამუშევრად ჩაეწერა, ქარხანა მუშობას დაიწყებსო. სულ ჩაეწერა 1000 კაცი.

✦ 14 ივლისს გაანთავისუფლეს ლითონის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი სმირნოვი, რომელსაც რუსეთის 57 ადგილას აუკრძალეს ცხოვრება და ორი წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მისცეს.

✦ ახალი ლესნერის ქარხნის გაფიცულ მუშათა შორის დააპატიმრეს კიდევ ორი ძმა მეშჩერიაკოვი.

მოსკოვი.

✦ გაიფიცნენ „ამხანაგობა ცინებ“-ის საშოკოლადო ქარხნის მუშები. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

✦ გათავდა კრეინესის ქარხნის თითბრის ჩამომსხმელ მუშათა გაფიცვა. მუშების მოთხოვნილება ნაწილობით შეასრულეს. 20 პროც. მაგიერ მოუმატეს 10 პროცენტი და დაითხოვეს მუშების მოთხოვნით ერთი ხელოსანი.

✦ ქირის დაკლებისათვის გაიფიცნენ სახაროვის ტყავის სახელოსნოს მუშები.

✦ განზეს სადურგლო ქარხნის 200 მუშა გაიფიცა და ჯამაგირის მომატება მოითხოვა 20 პროცენტით. ადმინისტრაციამ უარი უთხრა მუშებს.

✦ გაფიცული არიან მიხაილოვისა, ალექსეევისა, ფლეტჩერისა და გუტიკოვის ქარხნები. მიხაილოვის ქარხნის მუშებს მხარს უჭერენ მატეოიალურად სხვა ქარხნისა, მაგრამ იმავე საამქროსი.

უცხოეთი

სამხედრო აჯანყება ვატიკანში.

საინტერესო ამბები ხდება დღეს რომის პაპის სამფლობელოში, ვატიკანში. ამ ქვეყანაში, სადაც მყუდროებაა გამეფებული და საქრისტიანოს სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი საფრთხე არ მოელის მას, როგორც სახელმწიფოს, არსებობს საკუთარი „ჯარი“, რომელსაც პაპის გვარდიელებს უწოდებენ. უმეტეს ნაწილად გვარდიელები — ტომით შვეიცარიელებია, მათ აცვიათ ძველებური აჭრელებული ტანისამოსი და ხელში თოფის მაგივრად უპყრიათ ძველებური „ალებარდა“. ან რად ესაჭიროებათ მათ თოფი, როდესაც დილიდან საღამომდე პაპის სამფლობელოს საზღვრებზე გაუნძრევლად სდგანან და სიცხე-პაპანაქებაში იწვებიან. აქაური მყუდროება ამ რამდენიმე ხნის წინად დაირღვა, რადგანაც საერთაშორისო პოლიტიკის ნიავმა აქაც ააშრიალა მილიტარიზმის ფოთლები. გვარდიის უფროსმა, პოლკოვნიკმა რეპონმა, შვეიცარიიდან გამოიწერა თავისი ძმისწული, რომლისაგანაც ბევრს მოელოდა, და მისი შემწეობით მოისურვა „სახელმწიფოში“ რეფორმების მოხდენა. პოლკოვნიკის აზრით, ასეთ საშიშარ დროში კაცი ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს.

შვეიცარიელებს იარაღი ხელათ შეუცვალეს. ალბერდებიც კი დარჩა ხმარებაში, როდესაც ისინი სადარაჯოებზე იდგნენ, მაგრამ ეზოში, კი, პაპის სასახლის წინ მდებარე მოედანზე, გაიმართა თოფის სროლაში ვარჯიშობა; რადგან სროლა აღკრძალულია პაპის სასახლის ეზოში, ამიტომ გვარდიელებს მხოლოდ მიზანში ამოღებას ასწავლიდნენ. საკარიკატურო „ჯარში“ შემოიღეს მკაცრი დისციპლინა, ვარჯიშობა ყოველ დღე ხდებოდა პაპის სასახლის ეზოში ორმოც გრადუსიან სიცხის დროს. შემოიღეს ტეხნიკური ტერმინები, რომლითაც ოცის წლის ნამსახურ გვარდიელებს უმასპინძლდებოდნენ. მაგრამ ამ რეფორმებმა არა სასურველი ნაყოფი გამოიღო: არ გასულა რამდენიმე თვე, რომ გვარდიელებმა სამხედრო აჯანყება მოახდინეს, აირჩიეს ორი დეპუტატი ფრანგი და გერმანელი, ყაზარმებიდან გამოსვლაზე უარი სთქვეს და პოლკოვნიკის ძმისწულის, ახალგაზდა გლესონის გადაყენება მოითხოვეს. ამ აჯანყებამ პირველად ისეთი შთაბეჭდილება იქონია ვატიკანის მთავრობაზე, რომ აჯანყებულების მოთხოვნანი მაშინვე დაკმაყოფილეს; მაგრამ, როგორც კი აჯანყება ცოტათი მიწყნარდა, სამხედრო მთავრობამ დაინახა რომ მისი ავტორიტეტი დიდად დაცემულიყო. ამიტომ პოლკოვნიკმა მოინდომა მისი აღდგენა. მან მოიწვია გვარდიელები, ჩამწკრივა სასახლის დარბაზში და გრძელი სიტყვით მიმართა, რომელშიაც აღუთქვა დამნაშავეთა დასჯა.

ამის გამო კვლავ აჯანყება მოხდა. პოლკოვნიკ რეპონს ხელმეორედ მოუხდა დეპუტაციის მიღება. მხოლოდ ეხლა იგი მას რევოლვერით ხელში დაუხვდა. გვარდიელებს ძლიერ „ხმა მაღლა“ დაუწყო ლაპარაკი. გვარდიელებმა „სახელმწიფო მდივანს“, კარდინალს მერი-დელ-ვალუს წარუდგინეს მოთხოვნილება; სხვათა შორის გვარდიელები მოითხოვენ: თავი დაანებონ მათ წვალებას და ნამდვილ სალდათებად გარდაქმნას; ისინი სჩივიან, რომ სამხედრო ახალმა კანონებმა „ჯარიდან“ გაქცევა გააძლიერა. გვარდიაში ისევდაც ცოტა ხალხია და ეხლა 100 კაცის მაგიერ 50 კაცის მეტი აღარ არისო. გვარდიელები უთითებენ იმაზედაც, რომ ტყუილუბრალოდ განდევნეს მათი ამხანაგები ვითომდა სასირცხო ამბებში მონაწილეობისათვის, ამ დროს კი ნამდვილი მონაწილენი, მათი უფროსები, ისევ მსახურებენო. ჯარის კაცები მოითხოვენ აგრეთვე, რომ მდ. ტიბრის იქითა მდებარე სარდაფებში სიარულის ნება მისცენ.

მთელი რომი ადევნებს თვალყურს ამ საინტერესო ისტორიას; ჯერჯერობით საქმე მშვიდობიანად მიდის;—გვარდიელებს იარაღი აჰყარეს (თუმცა ეს მათი სურვილიც იყო). რასაკვირველია „პატარა სახელმწიფოს“ მართველობა იძულებული გახდება დაუთმოს აჯანყებულებს, მაგრამ შემდეგში კი, როგორცა სჩანს, მათი დამარცხებით გათავდება საქმე, რადგან ეხლავე აპირებენ მათს დათხოვნას.

რუსეთი

კატორღის რეფორმა.

როგორც იქნა, იუსტიციის სამინისტრო შეუდგა კატორღის რეფორმის შემუშავებას, რეფორმისათვის უწყებებს ჰქონდათ წინადადება მიცემული თავისი აზრი გამოთქვათ. უწყებათაგან გამოთქმული აზრი ერთმანეთს ეთანხმება თურმე და განზრახვამაც უკვე ერთი ფორმა მიიღო. ძირითადი რეფორმა შემდეგია: 1. უვადოს და ვადიანს—4 წლიდან 20 წლამდე საკატორღო მუშაობას იხდიან ციხეში (როგორც, ციმბირში ისე ევროპის რუსეთში), რომელნიც საგანგებოდ იქნებიან სასტიკ მუშაობისათვის მოწყობილი; 2. ციხეში კატორღელები განიყოფებიან მოქცევისა, შრომის მოყვარეობისა, ზნეობისა და სხვათა მიხედვით ხარისხებად. უმაღლესი ხარისხის კატორტელებს თანდათან შეღავათი მიეცემათ. კატორღელები ვადის გასვლამდე განთავისუფლებით არ ისარგებლებენ; 3. გადასახლება, როგორც აუცილებელი შედეგი საკატორღო მუშაობისა, მოისპობა. კატორღა გათავებულნი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან, და ისინი კი, ვინც ვადის გასვლამდე განთავისუფლდებიან, ზედამხედველობის ქვეშ ვადის შესრულებამდის უნდა იყვნენ. ეს კანონ-პროექტი საჩქაროდ იქნება შეტანილი სათათბიროში.

34 დეპუტატის საქმე.

ა. ლ. კარავაევის მკვლელობის შესახებ შეტანილი შეკითხვის ხელის მომწერ 34 დეპუტატის საქმის გამოძიება უკვე დაუმთავრებია სენატორ შულგინს.

სხვა და სხვა ამბავი

„ზელიმ-ხანის თავ-დასხმა“.

გროზნოს ოლქის უფროსს შეატყობინეს, რომ ზელიმ-ხანი სოფელ

ჩვენი მგზავნები მოწადინებულნი იყვნენ საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ ერთი მხრით მისაბაძავი მაგალითი მოღვაწისა და მეორე მხრით განდეგილობას (ყოველგვარს) აცლიდნენ იმ შარავანდედს, რომლითაც იგი უწინ შემკულიყო.

„ვიცით რომ ქრისტემ უდაბნოთ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა
მაგრამ, ის იმ დროს, იმა ლოცვითა
ქვეყნად საერო საქმეს ძრახვიდა,
და როდის დარჩა მეუდაბნოედ,
განა ამ სოფელს ის უარყოფდა?
თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს ტ ლხინს შუა იყოფდა“?
(თორნიკე ერისთავი)

აი ქათოლიკოზის მსჯელობა, რომლის წინააღმდეგ თორნიკეს სათქმელი ვერაფერი უპოვია.

ვერც განდეგილის მსჯელობამ და თავის მართლებამ გაუძლო მწყემსი ქალის მარტივ ფილოსოფიას: „გამკვირვებია მე ეს ამბავი“, ამბობს იგი, რომ ამ მიუვალ კლდეში ადამიანი ცხოვრობსო...

„მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?..
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულისა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ასე ლამაზად წუთი სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?...“

აქაც განდეგილი ვერ პოულობს პასუხს, თუმცა ერთი არსებითი შესწორება აქაც შეიძლებოდა მოპირდაპირეს შეეტანა.

საქმე ის არის, რომ განდეგილს და თორნიკეს უსაყვედურებენ „ქვეყნის“ უარყოფას, მაშინ როდესაც მათ ამისი ბრალი არ მიუძღვით. მათ „ეს ქვეყანა შვენებით სავსე“, „ესე ლამაზად მორთული წუთისოფელი“ კი არ დაუტევებიათ, მათ უარჰყვეს ძხოლოდ **სახოგადოება**, მისი სამსახური, ხელი აიღეს საამქვეყნო ხორციელ მოსახვეჭელზე და საიმქვეყნოსთვის დაიწყეს ოცნება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ უკიდურესობათ, როგორც ცოცხლივ გახრწნილება, ორმოში ჩაჯდომა, ე. ი. უკიდურესს ასკეტიზმს, მაშინ დავინახავთ, რომ განდეგილობა სრულიადაც არ არის „ლამაზად მოკაზმული სოფლის“ უარყოფა. ვინც თავის სიმუდამო სამყოფად ისეთ გასაოცარ შვენების ადგილებს ირჩევს, საიდანაც თვალწარმტაცი ბუნება, ვით ხელის გულზე, გადაშლილია; ვინც მაღალი მთის წვერვალიდან ღრუბელთ გროვას ზევიდან დასცქერის; ბუნების ყოველს დიადს ძოვლენას თვით იმის სამფლობელოში შესცქერის და ეექა და ელვა-გრგვინვას თითქოს ხელით იქერს, იგი ცხადია, კი არ განშორებია ბუნების სიმშვენიერეს, პირიქით, როგორც ესეთი, „თვით მის სამფლობელოში შეეპრილა, რათა მისი ბუმბერაზობა უმწვერვალესობამდე განიცადოს. რა საპირო იყო უარყოფა ამ „ზემოქმედების გამოხატველ, შვენებით სავსე ქვეყნისა“, როდესაც სწორედ მისი განცდა აახლოებდა ადამიანს შემოქმედთან! აბა, გადაჰხედეთ ჩვენი ძველი მონასტრებიდან მის გარშემო გადაშლილს ბუნებას, განიცადეთ ყოველი კუთხის თავისებური მშვენიერება, უსმინეთ ბუნების იდუმალს ჰმნს და მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება, რად მიილტოდნენ მაინცა და მაინც ტყეებში და კლდე-ღრეებში. ვისაც ბუნების სიმშვენიერის განცდა ხორციელ სიამოვნებას ავიწყებდა და ვინც მისი ხილვით უმწვერვალეს ექსტაზამდე აღწევდა, სჩანს, მზგავს ბუნებოვანი ყოფილა იმ მგოსნებისა, რომელნიც ერთი მხრით სულის სიძეიდეს და ეეორე ძხოით ძის სიმტკიცესა და ენერგიას, ხახ სადაძო ჟამზე ძთაყძინდის ძალლობზე იქენდნენ *), ხან კიდევ იმ ადგილების ხილვით, სადაც: „ბუძბერაზ ძთანი მდუძარედ, ცათამდე აყუდებულნი, სხედან ვით მდევნი, სპეტაკნი, ყინულ-გვირგვინით ძემკულნი“...**) გახსხვავებას ძხოლოდ იმაში თუ დავინახავთ, რომ განდეგილი უმწვერვალესი ეგოისტია! მას ადამიანი ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია, იმისი ქირი და ლხინი მისთვის უცხოა, იგი განძორებია ცხოვრებას, წუთი-სოფელს, ყველა მის წვრილძანსა და პროზაულ მოთხოვნილებას, ინტერესს, და მარტოდმარტო სტკბება ბუნების მშვენიერებით. ძგოსანი კი სახთელივით იწვის და ჩვენ გვინათებს; მას არ ძალუძს ნაგრძნობ-ნაფიქრი ჩვენც არ გაგვიზიაროს, არ გახგვაცდევიოს ის სიტკბოება, რასაც თითონ განიცდის; იგი ფითქოს გადამცემი პუნქტია ჩვენსა და ბუნების შორის. დახედეთ, როგორ უყვარს ყაზბეგის ონოფრესაც ბუნება და მისი მშვენიერება!

„ერთხელ, თავის ძოგზაურობის დროს, მან ნახა მთიელი, რომელიც გაცხარებული კეკლუცად ამართულ ხესა სჩრიდა და მით დაშვენებულ ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა“, და შემდეგი დიალოგი გაიმართა მათ შორის.

— შენ მოუსპე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დასამშვენებლად მიანიჭა იგი.

— ვისა, მამაო? — მთლად დაიბნა მთიელი.

— აი, შეეხედე,—გაიშვირა მოძღვარმა ხელი და უჩვენა ნახევრად გადაჭრილი ხე.

— რას მიბრძანებ, მამაო? ხეს ყველა სჩრის,—ცოტა სიჩუმის შეძღეგ უპასუხა მთიულმა, თუმცა აშფოთება ეტყობოდა.

— და ყველა ცოდოს სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემომქმედისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემ სიცოცხლეს... ეგეცა ჰხარობს, შვილო, და სცოცხლობს... რად წაართვი სიცოცხლე, რად მოუსპე სიცოცხლე?...

— შენ აღარა გვქონდა და გზასთან ეგ ხე უფრო მარჯვედ იდგა.

— ვიცოდი, რომ შენად გინდოდა... შენი ურემი ვნახე და ნახევრად სავსე იყო... შენად რადა სჩრიდი მაგას, როდესაც დმერთს მაგისთვისაც უზრუნვია? უფალი უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია. უზენაესის განგებით ტყე ხმელს შენას გიმზადებს და წაიღე, რამდენიც გინდა“...

ესთეტიურ, ფილოსოფიურ მხარეს რომ თავი დავანებოთ და ამ ბაასის უტილიტალური მხარე გავითვალისწინოთ, საგულისხმოა ეგ გონიერი ეკონომია ბუნების ენერგიისა და სიმდიდრის ექსპლოატაციისა. ბუნების სიმშვენიერეს და ტრფიალს ისე გაეტაცინებოდნენ ხოლმე ზშირად ისინი, რომელთაც სწამდათ „ერთი ღმერთი“, რომ მათი მოძღვრება პანტეისტურ მსოფლმხედველობაში გადადიოდა. „ურწმუნონო, გადაჰხედეთ მთელ სამყაროს, მთელს ამ ბუნებას; ნუ თუ ყოველივე მოცმაცმე ვარსკვლავი, ყოველივე უბრალო მდილიც კი, თითოეული ფოთოლი და ან მაზე მთრთოლვარე ნამი არ გიმტკიცებთ, რომ ქვეყანა მიზან-შეწონილად გაჩენილია ყოვლად „ბრძენ“ და „შემძლე“ სულისაგანაო“, ჭოალადებდნენ ისინი, ვისაც სურდათ, თუ ვერ დაგვიმტკიცებდნენ, დაეერწმუნებინეთ მაინც უზენაესის არსებობაში. ამიტომაც მუდამ ღმერთთან მუსაიფობდნენ ბუნების სიმშვენიერეთა ეს საუკეთესო დამფასებლები და ყოველივე არსში ღვთის სახეს ჰხედავდნენ. რა თქმა უნდა ილიამ „განდეგილში“ საერთოდ ეგ გვითხრა: ადამიანი რამდენიიც უნდა ეპოტინოს მაღლა ცას, იგი ამ ცოდვილი ქვეყნის შვილია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულიო, მაგრამ მთელი მ-60 წლების დამახასიათებელი ტენდენციაც თვალსაჩინოა: „განდეგილობა“, „მიუკარებლობა“ რელიგიურ ნიადაგზედაც შეუწყარებელია და მით უმეტეს საზოგადოებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაშიო. უფრო ცხადად ეგ „თორნიკეში“ და „მაყვალაში“ სჩანს, რადგანაც აქ საკითხი პირდაპირ არის დასმული (ქათოლიკოზის და თორნიკეს ბაასი: ონოფრეს მოღვაწეობა; „გლახის ნაამბობის“ გმირის მოძღვარი), განდეგილში კი საკითხი უფრო საზოგადოდ არის აღებული.

და თუ განდეგილსა და თორნიკეს უმტკიცებენ... ეს ქვეყანა, შვენებით სავსე, შემომქმედების გამომხატველი“ არ უნდა დაგეტოვებიათო, აქ მსჯელობაში ლოდიკური შეცდომაა შეტანილი: საკამათო საგანს შეუმჩნევლად სცვლიან. საქმე ის არის, რომ ჩვენს მწერლებს სწორედ საზოგადოებიდან განდგომა, ხალხის სამსახური და სხვ. საზოგადოებრივი ინტერესებიჰქონდათ მხედველობაში, თორემ განდეგილობის იდეა, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, ერთი თავისი მხრით ისეთ სფეროში იმყოფება, რომელსაც კრიტიკა არ უდგება და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ბუნებრივია ბუნების სიმშვენიერით ტკბობა, მისი სიყვარულით აღტაცება. ეგ ხომ სულიერი განწყობილებაა, რომელიც იდეალისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება და შეორე მხრით კიდევ განცდაა ბუნების მშვენიერებისა. მიზანი განდეგილობისა არის: ვითარცა მამა ზეციერი, ვიყოთ სრული; და ამ იდეალისაკენ მისწრაფება ხომ დაუსრულებელია; ამიტომაც არის იგი იდეალი, მიუწვდეველი; იდეალი, რაწამს იგი მიღწეულია, უკვე აღარ არის იდეალი. მაშასადამე, ჩვენი მწერლები თვით განდეგილობის იდეას კი არ შესჭიდებიან და არ დაუგმიათ, პირიქით, „განდეგილში“ იგი იმარჯვებს და აი როგორ:

ვიცით, რომ საღვთოწერილის მიხედვით, „გულის თქმაც“ კი („არა გული გითქმიდეს“) ცოდვაა ქრისტიანისათვის, და განდეგილმა ხომ ვერ დასთრგუნა ბუნება და გულისთქმით შეჰხედა დედაკაცს. ამით დაირღვა სარწმუნოებრივი კანონები და შემცოდეც უნდა დაისაჯოს. ცხოვრება და ბუნება გამარჯვებული მაშინ იქნებოდნენ, რომ განდეგილის ეს ბუნებრივი სურვილი ან დაკმაყოფილებულიყო და ან სასჯელი მაინც არ მისდგომოდა „დამნაშავეს“; აქ კი განდეგილი ვეღარ იტანს ცოდვის სიმძიძეს და კვდება, მაშასადამე, განდეგილობის იდეა გამარჯვებულია. განდეგილმა ვერ შესძლო განდეგილობის მოთხოვნილებათა მტკიცე სამსახური და **ამიტომაც** სასტიკად დაისაჯა. მიუხედავად ამისა „განდეგილში“ მეღავნდება, რამდენათაც კი შესაძლებელია მივუხვდეთ მწერლის გულის თქმას, რომ **ილია უარყოფით უცქერდა განდეგილობას და ამაში არავითარი წინააღმდეგობა იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს უარყოფა ეკუთნის „განდეგილობას“, „მიუკარებლობას“ „გამარტოვებას“ საზოგადოებიდან, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, საზოგადო სამსახურიდან.**

ს. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ნ. ბარათაშვილი: „შემოდგომება მთა-წმინდაზე“.

**) გ. ორბელიანი, სადაც მყინვარი აქვს აწერილი.

სარაჩინსკს თავს დაეცა და არბევსო. მაშინვე წავიდა ოლქის უფროსი პოლიციელებით და ჯარიც გამოიწვია. ჯარმა და პოლიციელებმა შეჭრეს გზები, ჩაესაფრნენ ზელიმ-ხანს. მეორე დღემდე ელოდნენ ზელიმ-ხანს, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ზელიმ-ხანის თავდასხმა გამოუგონია ერთ მწყემს, რომელსაც ნახირი დაჰკარგოდა და პასუხისგების თავიდან ასაცილებლად, ზელიმ-ხანი თავდაესმსხა და ნახირი წამართვაო, მოუმიზეზებია.

ინგლისის კონსული და ხულიგნები.

ინგლისის ვიცე-კონსული სანტკლერი გვიან ღამით მიემგზავრებოდა ველოსიპედით როსტოვისაკენ. სენტკლერს თან ახლდა ორი კაცი, მისი ნაცნობები. გზაზე სენტკლერი და მისი თანამგზავრები წამოეწივნენ ვიღაც მგზავრებს. მგზავრებმა უმიზეზოდ ლანძღვა-გინება დაუწყეს კონსულს და მოსთხოვეს, ველოსიპედები მოგვეცითო. სენტკლერმა შესაშინებლად რევოლვერი გაისროლა, მაგრამ ხულიგან მგზავრებს არ შეეშინდათ, მივარდნენ კონსულის თანამგზავრთ და ცემა დაუწყეს. სენტკლერმა საპოლიციო უბანში წასვლის წინადადება მისცა ხულიგანებს. როდესაც საპოლიციო უბნის სამმართველოს მიუახლოვდნენ, ხულიგანებთან მოგზაურმა ქალმა განუცხადა პოლიციელს, რომ სენტკლერს ფეხსაცმელების გახდა უნდოდა ჩემთვისაო. პოლიციელმა ჩამოართვა სენტკლერს რევოლვერი და სადარბაზო ბარათი. ამ დროს მისცვივდნენ სენტკლერს ხულიგნები და ცემა დაუწყეს. სენტკლერმა დონის მხრის უფროს ამის გამო ტელეგრამით მიჰმართა.

ცოდვათა მონანიება.

ნიკოლაევას სტანიცაში ასისთავმა დმიტრიუკოვმა თავის მოკვლის განზრახვით ნავთი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. დმიტრიუკოვს მთელს ტანზე ცეცხლის ალი მოედო. როდესაც საშველად მოვარდნილებმა ალი გააქვრეს, დმიტრიუკოვმა განაცხადა: მინდა ცეცხლის გენიაში, დავიღუპო, რათა ცოდვანი მოვინანიოო.

გალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

19 ივლისი.

ბერლინი. ელჩებმა აცნობეს პორტას, თუ ოსმალები თავის ნებით დასტოვებენ ადრიანოპოლს, მაშინ შესწორდება ენოს-მიდიის სამზღვარი ოსმალების სასარგებლოდ.

გერმანიამ გადაწყვეტით უარი უთხრა ოსმალეთს ასეთ მდგომარეობაში სესხის მიცემისა.

ბუქარესტი. 18 ივლისს ბულგარელებსა და რუმინელებს თათბირი ჰქონდათ. ბულგარელებმა მიიღეს რუმინელების მოთხოვნით საზღვარი ტურტუკაი - ბალჩიკზე, რომელიც ტურტუკაიდან 12 კილომეტრის სიშორეზე გაივლის ეკპესკენ. რუშჩუკისა ტ შუმელის სიმაგრეები დაინგრევიან. კუცოვლახებს მიეცათ სრული თავისუფლება სამშობლო ენაზე განათლების მიღებისა. გადაუწყვეტელია მხოლოდ საკითხი შესახებ იმისა, მიეცეს თუ არა უფლება იმ ადგილების მცხოვრებთ, რომელნიც რუმინიისთვის დათმობილ ტერიტორიაზე სცხოვრობენ, ქვეშევრდომობის არჩევის თავისუფლება. ერთდროულად მოხდა თათბირი სერბიელებისა და ბერძნეტისა, 19 ივლისს ბულგარელებმა ითათბირეს სერბიელებთან, მერმე ბერძნებთან. შემდეგ ყველამ ერთად სურათი გადაიღეს.

ბელგრადი. სერბიის „პრეს-ბიურო“ იტყობინება: დროებითმა ზავმა შესწყვიტა შეტაკება დუნაის ვიდინიდან ბრეგალნიცის ცარევო-სელომდე. სერბიელებმა ზარბაზნებით იერიში მიიტანეს ვიდინზე, რომელსაც ალყა შემორტყმული ჰქონდა 18 ივლისს, მეორე დღეს ტიმოკის ჯარის სარდალმა გაჰგზავნა შიკრიკები ვიდინში, რათა შეეტყობინებია ბულგარელებისათვის დროებითი ზავის ჩამოგდება, ბულგარელებმა ორი უნაყოფო იერიში მიიტანეს პირატვლასინთან. ეგრიპალანკოსთან ბულგარელებმა სძლიეს სერბიელებს, მაგრამ სერბიის არტილერიის ცეცხლმა ისევ უკან დასწია იგინი.

ბუქარესტი. რუმინიის საგენტო იტყობინება: გაიხსნა მოლაპარაკება მაიორესკუს თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ წინადადება მისცა: კრება მეორე დღისათვის გადაედოთ, რათა სამშვიდობო მოლაპარაკებას გამორკვეული სახე მიეცეს. ბულგარეთის რწმუნებულმა ტონჩევმა განაცხადა: თუ მოკავშირენი წერილობით მოითხოვენ, დღესვე წარუდგენს ბულგარეთის პასუხს, რის გამოც შეიძლება დასასრულ თანხმობისა ნიადაგი მოვიპოვოთო. კრება 20 ივლისამდე დაიხურა.

ბუქარესტი. საღამოთი გარეშე საქმეთა მინისტრის მარგილომანის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი ბულგარელებისა და რუმინების დობრუჯის საზღვრის შესახებ. ბულგარელები არ დასთანხმდნენ და ქამათი დაიწყეს. ამისგამო საკითხი 19 ივლისისათვის გადაიდო, მანამდე ბულგარელები შეისწავლიან რუმინთაგან მოთხოვნილ საზღვრის გეოგრაფიულ მდებარეობას.

სოფია. 17 ივლისს სერბიელებმა იერიში მიიტანეს ჩერნივერხზე, მაგრამ ვერას გახდნენ და ბევრი დაჰკარგეს. როდესაც ბერძნების შიკრიკები მოვიდნენ, ბულგარელების ჯარის მდგომარეობა მშვენიერი იყო. დროებითი ზავის ჩამოგდების დროს ელინთა ჯარი ალყა შემორტყმული იყო ბულგარელებისაგან.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. გინესმა ჰკითხა გრეის: რადგანაც სახელმწიფოებმა მისცეს მოკავშირეთ ნება დამპყრობითი ომი განეგრძოთ, აქვთ თუ არა საბუთი წინააღუდგნენ ოსმალეთს ფრაკიის დაპყრობაში, იმ საეროვნო პრინციპის ძალით, რომელსაც წინად მხარს უჭერდა გრეი? გრეიმ უპასუხა: სჩანს საკითხი ემყარება შეგნებას, რომ სახელმწიფონი ხელმძღვანელობენ ლოღიკითა და საერთაერთაშორისო კანონმდებლობით, ნამდვილად კი, ყოველი სახელმწიფო იმყოფება საკუთარის ინტერესების გავლენის ქვეშ და ყველას ერთად კი ჰსურს ევროპაში მშვიდობიანობის შერჩენა. ვფიქრობ, სახელმწიფოთა მოლვაწეობა კვლავაც ამ ორი ინტერესის მიხედვით იხელმძღვანელებს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

19 ივლისი.

უცხოეთი.

პეკინი. პრეზიდენტის დეკრეტით სიუნსილინი ინიშნება პრემიერად. ნაციონალისტებს წინადადება მიუციათ: სამი დღის განმავლობაში გამოაცხადონ თავი სამხრეთის ამბოხებაში უმონაწილოდ, წინაალმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული პარტია, კუო-მინ-დანი, ნებადართული აღარ იქნება.

შანჰაი. ვუზუნის სიმაგრეები მეამბოხეთა ხელშია. აქ სიწყნარეა.

ქაირი. აქ მყოფნი აზიზ-ბეი და რეშიდ-ბეი, ჯარისგან კირანაიკაში გამოგზავნილნი, ეხლა საჩქაროდ სტამბოლს დაიბარეს.

ბარცელონა. გაიფიცა 22,000 მუშა.

ლისაბონი. დაიჭირეს ურემი ყუმბარით სავსე. რამდენიმე კაცი დაპატიმრეს.

იოჰანესბურგი. სამრეწველო კავშირის მიტინგზე გამოტანილია დადგენილება, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება არ შეიძლება. მუშები იმედოვნებენ, რომ მათი პოლიტიკური და სამრეწველო ორგანიზაციები მოსპობენ უთანხმოებას.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეკმეტევი საქმის კომიტეტმა დაიჭირა „ტრუდოვოი გოლოს“-ის № 22.

ჭირის საწინააღმდეგო კომისიამ მისცა ასტრახანის გუბერნატორს 10.000 მან. ჭირთან საბრძოლველად.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ში 19 ივლისს მოთავსებულ დეპეშის შესახებ, რომ პორტას პრძანებით აღკრძალულია ბოსფორის სრუტეში გემების მიმოსვლაო, „ცნობის მიმცემი ბიურო“ იუწყება: ბოსფორის სრუტე მცირე ხნით იყო დაკეტილი ზღვის ნაპირა სიმაგრეებში მომხდარ ცვლილებების გამო. დაკეტილი იყო სულ რამოდენიმე საათით, შემდეგ კი გემების მოძრაობა განახლდა დაუბრკოლებლად. მიუხედავად ამისა რუსის მთავრობა მაინც ყურადღებას მიაქცევს ასეთ გარემოებას. „ცნობის მიმცემი ბიურო“ გადაჭრით უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც განათლების მინისტრს განკარგულება მოეხდინოს, რომ დედათა სასწავლებლებშიაც შემოიღონ ისეთი წესები ებრაელთა მისაღებად, როგორც ვაჟებისაშიო. ასეთი განკარგულება არც წინად და არც ეხლა არ ყოფილა.

ცარიცინი. სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ მდინარე ვოლგა ჭირის მხრივ საშიშრად გამოაცხადა. ამითი უნდათ გემთა პატრონები აიძულონ, რათა მათ სანიტარები იყოლიონ გემებზე

ასტრახანი. სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ პროფესორ ზაბალოტნის მოხსენების შემდეგ დაადგინა: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ხაზინიდან მიეცეს 217.000 მან. ჭირთან საბრძოლველად.

კიევი. (შემთხვევით) კიევში გახსნილ სარკინისგზო, საბოძრაო განყოფილების სასწავლებელში თხოვნა მიიღება 17 აგვისტომდე. [illegible] ბელში მიიღებიან რუსის ქვეშევრდომნი 17-დან 19 წლისანი.

შემოწირულება

გულითად მადლობას ვსწირავ გიორგი სიხარულიძეს და სხვათა, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შეადგინეს ეს ოცტა რა თანხა, რომელსაც ვგზავნი ჩვენ ავადმყოფი მგოსნის ევდოშვილის სასარგებლოდ.

სია შემომწირველთა: ელისო კალანდაძემ 50 კ., მოსე ბერძნიშვილმა 50 კ., ბიკტორ ხუჭუამ 30 კ., გიორგი ბიბილეიშვილმა 20 კ., ბარნაბა კორძაიამ 50 კ., დიმიტრი სტეფანიდმა 50 კ., ტიტო სიხარულიძემ 3 მ., ისაკო სიხარულიძემ 3 მ., ანეტა სიხარულიძისამ 3 მ. და გ. სიხარულიძემ 3 მ. სულ 14 მ. 50 კ.

მ. გარიყული.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე

ᲛᲐᲡᲐᲠᲔᲒᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

(ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ.

ᲑᲐᲥᲣᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ: № 6, **ᲩᲥᲐᲠᲘ** პლაკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **ᲡᲐᲛᲒᲖ.-ᲡᲐᲑᲐᲠᲒᲐ** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ᲜᲐᲠᲘᲕᲘ** მეოთხე კლასის ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: № 3, **ᲡᲐᲤ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, [illegible] 1 ს. 28 წ., (ოქლის პირველ მაისიდან 14 [illegible]ისთვემდე). № 7, **ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝ** პლაკ. ნაშ. 40 წ., № 9, **ᲡᲐᲛᲒᲖ.** ღამის 10 ს. 30 წ., [illegible]7, **ᲜᲐᲠᲘᲕᲘ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტ[illegible] გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: № 17, **ᲡᲐᲮ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ: № 65, **ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, ბ **ᲡᲐᲐᲒ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67. უქმის ჭინი დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ᲯᲣᲚᲤᲘᲡᲙᲔᲜ: **ᲡᲐᲤ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ᲣᲐᲠᲡᲘᲡᲙᲔᲜ: **ᲡᲐᲮ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲘᲡᲙᲔᲜ: № 24, 23, **ᲡᲐᲑᲐᲠᲒ.-ᲡᲐᲛᲒᲖ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ:

ᲑᲐᲥᲣᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ: № 3, **ᲡᲐᲤ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **ᲡᲐᲑᲐᲠ.-ᲡᲐᲛᲒᲖ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **ᲡᲐᲛᲒ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝ**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ᲜᲐᲠᲘᲕ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ: № 10, **ᲡᲐᲛᲒᲖ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ᲮᲔᲛ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **ᲡᲐᲛᲒᲖ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **ᲡᲐᲤ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ᲜᲐᲠᲘᲕᲘ** ღამ. 2 ს 12 წ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

მთავარი— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ეუჩიდან

ᲐᲒᲚᲐᲫᲘᲡᲐ—კახეთის ქ. № 15.

ᲮᲐᲠᲤᲣᲮᲘᲡᲐ—ვორონცოვის ქ. 55.

ᲙᲣᲪᲘᲐᲜᲘᲡᲐ—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡᲐ—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უსაბნში, თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲠᲣᲡᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაკარაშვილისა.

ᲩᲣᲓᲣᲠᲘᲡᲗᲘᲡ შესახვ. № 5, 1-ლ კომფრტ. სასწავლებლის ზემოდ, ვაკეერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ

ამზადებენ: **სიმღერის მოწმობაზე**, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ** ყველა კლასისათვის; **ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡᲐ**; საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მესამართი: მთავმეთიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღ. მოთი 5—7 საათ. 1400

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

„606“ ᲓᲐ „914“

11—12 ს. ᲨᲔᲛᲬᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. Გ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **Ო. Ვ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐ** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

კ. დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

მ. გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**

1004

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Გ. ᲨᲝᲚᲢᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ.

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:

„SALO—ᲞᲘᲩᲘᲚᲘᲜ“.

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონიერული საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძვეს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებიანი და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**

ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲣᲤᲧᲝᲗᲔᲚ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ.

დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იმოვება საფფთიაქო სავაჭროში.

Метцль 22238. 1038

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ

გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას სამთავლაქო შენობებისთვის. ვაძლევ მსურველ მეიჯარადრეებს ყოველგვარ მთხელებ და მასალას შენობების ასაგებად. ვკისრულობ მამულების დაგირავებას ბანკებში და კერძო პირებ ედაც, ყიდვა-გაყიდვას ქალაქების და სოფლის მამულებისას. მაქვს მონდობილი შენობები და ცარიელი ნაკვეთი ადგილები გასასყიდად.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜᲘ: ერევნის მოედანი, პუშკინის პასაჟი, 18, კ ბინეთი გადასაწერი მანქანისა **ᲐᲜ Გ ᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.** 444

Ჯ. Ш. Ѳ.-Ჯ. ᲒᲐᲛᲐᲕᲠ. ᲡᲐᲖ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

მტრედი, შმიდტისა	10 კ.
მამის ერთგული	15 „
მეფე დიმიტრი თავდადებული	7 „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	30 „
მგზავრის წერილები	7 „
ნაწყვეტები პოლიტ. ეკონომიიდან, ა. წულუკიძე	50 „
ნიკოლოზ გოსტაბაბიშვილი	3 „
ოქროს მოყვარულნი	15 „
ოთარაანთ ქვრივი	18 „
რუსულ-ქართ. ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა	2—40 „
როგინზონ კრუზე	30 „
რჩეული ლექსები ი. ჭავჭავაძისა	7 „
სალამური, კრებ. ზ. ჩხიკვაძისა	25 „
სვიის გვირგვინი	15 „
საყმაწვილო მოთხრ. ეკ. გაბაშვილისა	30 „
სახრჩობელაზე ი. ჭავჭავაძისა	5 „
საქართვ. ისტორია, ვახუშტისა	2 მ.—
სტატისტიკური ცნობ. საქ. შესახებ	2 მ.—
უცნაური ამბავი	4 „
ფიზიკური გეოგრაფია, იაშვილისა	20 „
ქართვ. პოეტების რჩ. ლექსები	25 „
ქართ. სახ. სიმღერები ი. კარგარეთელი	50 „
ქართ. ეროვნული სიმღ. დ. არაყიშვ.	20 „
ქაჯანა	5 „
ქილილა და დამანა	1 მ.—
ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტით	3 მ.—
ყვავილთა შორის	45 „
ყოველის მხრიდან, ნ. ლომთური	10 „
შინაური საკონელი და მისი მოვლა	5 „
შექსპირის დრამები, ს. ყიფიანი.	20 „
ჩარლზ პარნელი	25 „
ცისარტყელა სალიტერატ. კრებული	15 „
წიგნის ისტორია, დ. კარიჭაშვილი	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.



1078

ᲐᲑᲐᲜᲝ

ᲫᲛ. ᲧᲝᲠᲧᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ

15 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ

ᲛᲐᲦᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲩᲠᲔᲡᲘᲚᲘ — ᲩᲠᲔᲡᲘᲚᲘ

შემოწმებული და გამოკვლეულია, რომ ეს მადნეული წყალი ჰკურნავს სხვა და სხვა სენისაგან, როგორიც არის მაგალითად—**ქარები,** (რევმატიზმი) **კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხ.** წყალი მიიღება თბილი და ცივი. აბანო მდებარეობს ხრესილის **„სერნი ვოდის“** სადგურიდან 150 საჟენის მანძილზე. ბარგის გადატანა და მისვლა-მოსვლა-დვილია, რადგან ქუთაისიდან მატარებელი დღეში ორჯერ გადის. აბანოსთან არის სუფთა ბინა და ბუფეტი. **ფასები ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ.** 1385

ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲝᲛᲡᲔᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ

ᲕᲝᲜᲘᲡᲐ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ **ᲙᲚᲘᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ**

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲔᲜ ᲤᲐᲡᲐᲓ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲣᲩᲐ, № 12. ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ Бол. Ванк. ул. № 12

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲓᲒᲕᲓᲘᲡ

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲘ

ᲫᲛ.

ᲥᲔᲓᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮ. № 9. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 7:2.

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡᲐ ᲗᲐᲠᲗᲘ, ᲨᲣᲠᲗᲘ, ᲚᲘᲗᲝᲥᲝ, ᲓᲐ ᲡᲣᲤᲓᲐᲙᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲨᲮᲕᲘᲚ-ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲓᲝᲛᲨᲘ, ᲘᲐᲜᲘ, ᲫᲘᲠᲘ ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮ. № 5, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 151.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲘ

ᲛᲘᲮᲠᲝᲤᲐᲜᲔ ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲣᲠᲘ ᲒᲔᲛᲝ

ᲮᲘᲚᲝᲔᲣᲚᲘ, ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ

ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲘᲚᲝᲔᲣᲚ